# შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

____________________________________

„ ------ “ ----------------------- 2022 წ.

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

## ტურიზმი (Tourism)

*უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:* ბაკალავრიატი (I საფეხური)

*სწავლების ენა:* ქართული

*მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* ტურიზმის ბაკალავრი Bachelor of Tourism

*სწავლის ხანგრძლივობა:* 8 სემესტრი

*საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:* 240 კრედიტი

*პროგრამის ხელმძღვანელი:* თამარ ქობლიანიძე, პროფესორი

*საბაკალავრო პროგრამაზე მიღების უფლება:* საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## საბაკალავრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 240 კრედიტი= 6000 სთ).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება); პრაქტიკას და საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში.

## პროგრამის მიზანი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონ-კურენტუნარიანი ბაკალავრი ტურიზმში, რომელსაც ექნება ტურიზმის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების, მსოფლიო და ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის ფუნქციონირების აქტუალური პრობლემების შესახებ ფართო ცოდნა. სტუდენტს გამოუმუშავებს ტურისტული ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით რესურსების გამოყენების, დარგში მიმდინარე პროცესების გაანალიზე-ბის, შეფასების, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრის, შემოქმედებითი აზროვნებისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარებს; ასევე, გამოუმუშავებს ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაციას, პროფესიულ და პიროვნულ პასუხისმგებლობას. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა. პროგრამის მიზნები შესაბამისია უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის, საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

## პროგრამის სტრუქტურა

”ტურიზმის” ბაკალავრისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსების/კომპონენტების და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სინთეზის საფუძველზე. საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და სასწავლო გეგმის ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევას და ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებას. ”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ტურიზმის ბა-კალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე.

”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტი:

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები / კომპონენტები: 137 კრედიტი

*მათ შორის*

- *სავალდებულო* *119 კრედიტი*
- *არჩევითი* *18 კრედიტი*

თავისუფალი კომპონენტი: 103 კრედიტი

- *სავალდებულო* *88 კრედიტი*
- *არჩევითი* *15 კრედიტი*

*შენიშვნა:* თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს როგორც პროგრამის სასწავლო გეგმიდან, ასევე უმაღლესი სასწავლებლის იმავე საფეხურის ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომელთა/რომლის არჩევაც შეუძლია სტუდენტს მისთვის საინტერესო სფეროებში (საკითხებზე) თვლასაწიერის გაფართოების მიზნით

## სწავლება-საწავლის მეთოდები

საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, როლურ და სიტუაციურ თამაშებს და სხვ.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო ბაკალავრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

## სწავლის შედეგები

| |
|---|
| 1. **განიხილავს** ტურიზმის მოტივაციურ საფუძვლებსა და მის სოციალ-ეკონომიკურ, სოციო-ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს;<br>2. **აღწერს** და **ხსნის** ტურიზმისა და მასპინძლობის მახასიათებლებს, ტურისტთა განთავსების, კვებისა და მომსახურების სხვა სახეების მართვის თავისებურებებს; ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებას ტურიზმში; კულტურული, ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმის კომპლექსურ საკითხებს, ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს ეროვნული და მსოფლიო/საერთაშორისო მასშტაბით, საქმიანობის ფინანსურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს; |
| 3. ტურისტული პროფილის საწარმოს ეფექტიანი მუშაობისთვის **არჩევს** და **იყენებს** მენეჯმენტის ფუნქციებს, საინფორმაციო თუ მართვის სისტემებს (მათ შორის დაჯავშნის სისტემებს), ბეჭდვით და ელექტრონულ წყაროებს;<br>4. სეგმენტაციისა და მიზნობრივი ბაზრების შერჩევის საფუძველზე **ადგენს** ტურისტულ პროდუქტს და **შეიმუშავებს** ტურისტული საწარმოს მარკეტინგულ კომპლექსს;<br>5. ერთმანეთს **ადარებს** და **უპირისპიებს** ტურიზმის ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), მსოფლიოს მაკრორეგიონებისა და სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ პოტენციალს;<br>6. **აყალიბებს** რეკომენდაციებს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს პროექტების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისთვის<br>7. **აანალიზებს** განყენებულ სუტუაციებს, ინფორმაციას ტურიზმის უცხოური გამოცდილების შესახებ, დარგში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოში ტურიზმის შესაძლებლობებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს.<br>8. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ |

| | |
|---|---|
| | ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით **ამზადებს** სემინარს /დამოუკიდებელ სამუშაოს /პროექტს და **ახდენს** მის პრეზენტირებას; **ამყარებს** კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; |
| 9. | **ზრუნავს** საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, მიღებული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე/ცოდნის მუდმივ განახლებაზე ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვითა და მდგრადი განვითარების ძირითადი მიდგომების შესაბამისად. |

**პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა**

| N | საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| 1 | საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნა-რიანი ბაკალავრი ტურიზმში, რომელიც შეძლებს ტურიზმის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხების, მსოფლიო და ეროვნული ტურისტული ინდუსტრიის ფუნქციონირების აქტუალური პრობლემების შესახებ ფართო ცოდნის კრიტიკულ გააზრებას. | • განიხილავს ტურიზმის მოტივაციურ საფუძვლებსა და მის სოციალ-ეკონომიკურ, სოციო-ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს;<br>• აღწერს და ხსნის ტურიზმისა და მასპინძლობის მახასიათებლებს, ტურისტთა განთავსების, კვებისა და მომსახურების სხვა სახეების მართვის თავისებურებებს; ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებას ტურიზმში; კულტურული, ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმის კომპლექსურ საკითხებს, ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს ეროვნული და მსოფლიო/საერთაშორისო მასშტაბით, საქმიანობის ფინანსურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს; | |
| 2 | სტუდენტს გამოუმუშავებს ტურისტული ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით რესურსების გამოყენების, დარგში მიმდინარე პროცესების გაანალიზე-ბის, შეფასების, პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრის, შემოქმედებითი აზროვნებისა და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარებს; | • ტურისტული პროფილის საწარმოს ეფექტიანი მუშაობისთვის არჩევს და იყენებს მენეჯმენტის ფუნქციებს, საინფორმაციო თუ მართვის სისტემებს (მათ შორის დაჯავშნის სისტემებს), ბეჭდვით და ელექტრონულ წყაროებს;<br>• სეგმენტაციისა და მიზნობრივი ბაზრების შერჩევის საფუძველზე ადგენს ტურისტულ პროდუქტს და შეიმუშავებს ტურისტული საწარმოს მარკეტინგულ კომპლექსს;<br>• ერთმანეთს ადარებს და უპირისპირებს ტურიზმის ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), მსოფლიოს მაკრორეგიონებისა და სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ პოტენციალს;<br>• აყალიბებს რეკომენდაციებს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს პროექტების კომპლექსური პრობლემების | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | გადაწყვეტისთვის<br>• აანალიზებს განყენებულ სუტუაციებს, ინფორმაციას ტურიზმის უცხოური გამოცდილების შესახებ, დარგში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოში ტურიზმის შესაძლებლობებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს.<br>• თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს სემინარს /დამოუკიდებელ სამუშაოს /პროექტს და ახდენს მის პრეზენტირებას; ამყარებს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან;<br>• | |
| 3 | გამოუმუშაოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა. | • ზრუნავს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, მიღებული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე/ცოდნის მუდმივ განახლებაზე ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვითა და მდგრადი განვითარების ძირითადი მიდგომების შესაბამისად. | |

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

### სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია ბაკალავრებისთვის.

**პრაქტიკა:** აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიში ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორების მიერ (მინ. 21; მაქს. 60 ქულა) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა; მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

***საბაკალავრო ნაშრომი:*** აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 31 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

### სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების სისტემა უშვებს

- ხუთი სახის დადებით შეფასებას:
  (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
  (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
  (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
  (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
  (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ორი სახის უარყოფით შეფასებას:
  (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ

გასვლის უფლება. FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**დასაქმების სფერო**

"ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს - ტურიზმის ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს ტურისტული პროფილის ნებისმიერი ორგანიზაციის (ტურისტულ ფირმები, სასტუმროები, რესტორნები, საკურორტო-რეკრეაციული დაწესებულებები, ტურისტთა საინფორმაციო ცენტრები, სატრანსპორტო კომპანიები, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვ) საშუალო რანგის მენეჯერის თანამდებობაზე, ასევე, ყველა ტიპის ბიზნეს-ორგანიზაციის სერვისული სამსახურების ადმინისტრაციაში.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

"ტურიზმის" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია მაგისტრატურაში კანომდებლობით დადგენილი წესით.

**საბაკალავრო პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი**

საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. კერძოდ: საბიბლიოთეკო რესურსი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერული ტექნიკა. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვ. სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული). ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი განახლებადია დარგში მიმდინარე განვითარებების კვადაკვალ და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევასა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას; ~~ბაკალავრიატის~~ სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. კერძოდ: **ELSEVIER (**Scopus; Science Direct; Scival Funding(Funding Institutional), **Cambridge Journals Online** (https://www.cambridge.org/core); **e-Duke Journals Scholarly Collection** (https://www.dukeupress.edu/); **Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** (https://www.elgaronline.com/page/70/journals); **IMF eLibrary** (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true); **Royal Society Journals Collection** (https://royalsociety.org/journals/); **SAGE Premier** (http://journals.sagepub.com/), რომლებიც საშუალებას იძლევა გაეცნონ უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. პრაქტიკას ბაკალავრიატის სტუდენტები გადიან სხვადასვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბაზაზე და იყენებენ იქ არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს.

**საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსი**

საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური (მათ შორის აფილირებული) და მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი სათანადო კომპეტენცია - დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული)

აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და/ან პრაქტიკული გამოცდილება (დარგის სპეციალისტი)

**საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა**

ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა, რომელიც მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული პერსონალის ანაზღაურებაზე, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლებაზე, პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი საქმიანობის და სტუდენტთა მიერ მცირე მოცულობის სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების შესრულების ხელშეწყობაზე, სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მოწყობასა და საკონფერენციო ნაშრომების კრებულის სახით გამოშვებაზე, ტურიზმის სფეროს წამყვან სპეცილისტთა საჯარო ლექციებსა და გასვლით სასწავლო ღონისძიებებზე, ასევე სხვადასხვა სტუდენტურ ინიციატივებზე. საბაკალავრო პროგრამისთვის სკოლის ბიუჯეტით ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

__________________________.

**შენიშვნა:** *„ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართის სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.*

*”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი:* ________________________

*ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:* ________________________

”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამის დანართები

*დანართი N 1*

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები კრედიტებისა და სასწავლო სემესტრების მითითებით

| N | სასწავლო კომპონენტი | წინაპირობები | კრედიტები | საათები | საათების განაწილება | | | | | სასწავლო სემესტრები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | საკონტაქტო საათები | | | | | | | | | | | | |
| | | | | | ლექცია | ჯგუფში /პრაქტიკული მუშაობა და შუალედური გამოცდა | დასკვნითი გამოცდა | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი მუშაობის საათები | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| *სავალდებულო კომპონენტი: 207 კრედიტი*<br>*ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები / კომპონენტები - 119 კრედიტი;*<br>*თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 88 კრედიტი.*<br>მათ შორის: | | | | | | | | | | | | | | | | | |
| საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები 10 კრედიტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | აკადემიური წერა | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | x | | | | | | | |
| 2 | ICT წიგნიერება | - | 5 | 125 | - | 30 | 2 | 32 | 93 | x | | | | | | | |
| უცხო ენის კომპონენტი (ზოგადი) 40 კრედიტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ინგლისური ენა 1 | - | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | x | | | | | | | |
| 4 | ინგლისური ენა 2 | 3 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | x | | | | | | |
| 5 | ინგლისური ენა 3 | 4 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | x | | | | | |
| 6 | რუსული ენა 1 | - | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | x | | | | | |
| 7 | ინგლისური ენა 4 | 5 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | | x | | | | |
| 8 | რუსული ენა 2 | 6 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | | x | | | | |
| 9 | რუსული ენა 3 | 8 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | | | x | | | |
| 10 | რუსული ენა 4 | 9 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | | | | x | | |
| სავალდებულო სასწავლო კურსები 137 კრედიტი | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | დარგობრივი ინგლისური ენა 1 | 7 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | | | x | | | |
| 12 | დარგობრივი ინგლისური ენა 2 | 11 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | | | | x | | |
| 13 | დარგობრივი რუსული ენა | 10 | 5 | 125 | 15 | 45 | 2 | 62 | 63 | | | | | | | x | |
| 14 | ბიზნესის საფუძვლები | - | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | x | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ეკონომიკის საფუძვლები | - | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | x | | | | | | | |
| 16 | კალკულუსი | - | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | x | | | | | | | |
| 17 | სტატისტიკა ტურიზმისთვის | 16 | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | | x | | | | | | |
| 18 | მენეჯმენტის საფუძვლები | - | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | | x | | | | | | |
| 19 | ტურიზმის საფუძვლები | - | 5 | 125 | 18 | 27 | 2 | 47 | 78 | | x | | | | | | |
| 20 | საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | x | | | | | | |
| 21 | ფინანსების საფუძვლები | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | | x | | | | | |
| 22 | ეკოტურიზმი | 19 | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | x | | | | | |
| 23 | ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი | 18, 19 | 6 | 150 | 16 | 29 | 2 | 47 | 103 | | | x | | | | | |
| 24 | ტურიზმის ეკონომიკა | 15, 19 | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | x | | | | |
| 25 | მარკეტინგის საფუძვლები | - | 5 | 125 | 16 | 29 | 2 | 47 | 78 | | | | x | | | | |
| 26 | კულტურული ტურიზმი | 19 | 4 | 100 | 14 | 16 | 2 | 32 | 68 | | | | x | | | | |
| 27 | აგრო და ღვინის ტურიზმი | 19 | 4 | 100 | 16 | 14 | 2 | 32 | 68 | | | | x | | | | |
| 28 | პროექტების მართვის საფუძვლები | - | 3 | 75 | 15 | 15 | 2 | 32 | 43 | | | | x | | | | |
| 29 | კვებისა და სასმელების მენეჯმენტი ტურიზმში | 19 | 5 | 125 | 16 | 14 | 2 | 32 | 93 | | | | | x | | | |
| 30 | ტურიზმის მარკეტინგი | 25 | 6 | 150 | 16 | 29 | 2 | 47 | 103 | | | | | x | | | |
| 31 | საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია | - | 5 | 125 | 19 | 26 | 2 | 47 | 78 | | | | | x | | | |
| 32 | სასტუმრო მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები | 23 | 5 | 125 | 17 | 28 | 2 | 47 | 78 | | | | | | x | | |
| 33 | ექსკურსიათმცოდნეობა - გიდის ხელოვნება | 19 | 6 | 150 | 15 | 30 | 2 | 47 | 103 | | | | | | x | | |
| 34 | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები / | - | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | | | | | | x | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 35 | თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში (ინგ) | 2, 12, 19 | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | | | x | |
| 36 | ტუროპერეიტინგი | 14, 19 20 | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | | | x | |
| 37 | სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი | 32 | 3 | 75 | 15 | 15 | 2 | 32 | 43 | | | | | | | x | |
| 38 | პერსონალის მართვა ტურიზმში | 23 | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | | | x | |
| 39 | რეკლამა და სტიმულირება ტურიზმში (ინგ) | 12, 19 | 5 | 125 | 16 | 14 | 2 | 32 | 93 | | | | | | | | x |
| | **საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი 10 კრედიტი** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 40 | პრაქტიკა | 20, 23, 29-33, 35 | 10 | 250 | | | | 162 | 88 | | | | | | | | x |
| 41 | **საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში * 10 კრედიტი** | | | | | | | | | | | | | | | | |
| | საბაკალავრო ნაშრომი | 23 30, 32, 33 36 | 10 | 250 | - | - | - | 92 | 158 | | | | | | | | x |
| | ***არჩევითი კომპონენტები: თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (15კრ) და ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები (18 კრ) - 33 კრედიტი*** | | | | | | | | | | | | | | | | |
| 42 | ფსიქოლოგიის საფუძვლები | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | x | ***თავისუფალი კომპონენტის*** არჩევითი სასწავლო კურსების I ბლოკი - **5 კრედიტი** | | | | | |
| 43 | ფილოსოფიის საფუძვლები | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | x | | | | | | |
| 44 | საქართველოს ისტორია | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | x | | | | | | |
| 45 | ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები | 2 | 5 | 125 | - | 30 | 2 | 32 | 93 | | x | | | | | | |
| 46 | მსოფლიო ხელოვნების ისტორია | - | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | | | x | ***ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი*** არჩევითი სასწავლო კურსების I ბლოკი - **5 კრედიტი** | | | | |
| 47 | საქართველოს კულტურის ისტორია | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | | x | | | | | |
| 48 | საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | | x | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 49 | სამუზეუმო საქმე | - | 5 | 125 | 16 | 14 | 2 | 32 | 93 | | | x | | | | | |
| 50 | ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში | - | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | x | *ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი* არჩევითი სასწავლო კურსების II ბლოკი - **4 კრედიტი** | | |
| 51 | სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი | - | 4 | 100 | 16 | 14 | 2 | 32 | 68 | | | | | x | | | |
| 52 | სათავგადასავლო ტურიზმი | - | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | x | | | |
| 53 | რელიგიური ტურიზმი | - | 4 | 100 | 16 | 14 | 2 | 32 | 68 | *ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი* არჩევითი სასწავლო კურსების III ბლოკი - 4 კრ | | | | | x | | |
| 54 | ტურიზმის უსაფრთხოება | - | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | | x | | |
| 55 | გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში | - | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | | x | | |
| 56 | MICE - ტურიზმი | - | 4 | 100 | 15 | 15 | 2 | 32 | 68 | | | | | | x | | |
| 57 | სამეწარმეო სამართალი | 14 | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | *თავისუფალი კომპონენტის* არჩევითი სასწავლო კურსების II ბლოკი - 5 კრედიტი | | | | | | x | |
| 58 | მმართველობითი აღრიცხვა | 34 | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | | | | | | | x | |
| 59 | საქმიანი ურთიერთობების ეთიკა (ინგლისურ ენაზე) | 12 | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | | | | | | x | |
| 60 | ანტიკრიზისული მენეჯმენტი | 18 | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | | | | | | | x | |
| 61 | დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი | - | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | *ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი* არჩევითი სასწავლო კურსების IV ბლოკი - 5 კრედიტი | | | | | | x | |
| 62 | ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე | 24 | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | | | | | | x | |
| 63 | ინვესტიციები ტურიზმში | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | | | | | | x | |
| 64 | ლიდერობა - მართვის ხელოვნება (ინგლისურ ენაზე) | 7 | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | *თავისუფალი კომპონენტის* არჩევითი სასწავლო კურსების III ბლოკი - 5 კრედიტი | | | | | | | x |
| 65 | ლიდერობა - მართვის ხელოვნება | - | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | | | | | | | x |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 66 | სტრატეგიული მენეჯმენტი | 18 | 5 | 125 | 15 | 30 | 2 | 47 | 78 | | x |
| 67 | PR მენეჯმენტი | 25 | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | x |
| 68 | ბრენდინგი | 25 | 5 | 125 | 15 | 15 | 2 | 32 | 93 | | x |
| | | | | | | | | | | | |

<u>შენიშვნა:</u> 1) საბაკალავრო ნაშრომისთვის გათვალისწინებული კრედიტების ფარგლებში საკონტაქტო საათების განაწილების განრიგი დაზუსტდება უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ საბაკალავრო ნაშრომის სპეციფიკის და სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

2) საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე სტუდენტი დაიშვება, იმ შემთხვევაში თუ მას ათვისებული ექნება ის სავალდებულო კომპონენტები, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად. დაცვაზე დასაშვებად კი საჭიროა საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნების შესრულება (მინ. 230 კრედიტის დაგროვება), საბაკალავრო ნაშრომზე ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა და რეცენზენტის შეფასება (მინ 31 ქულა. მაქს. 60 ქულა).

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალი

| სახელი, გვარი | სტატუსი | აფილირების შესახებ | სასწავლო კურსები |
|---|---|---|---|
| თინათინ დოლიაშვილი | პროფესორი | აფილირებული | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, მმართველობითი აღრიცხვა. |
| ვახტანგ ნადირაძე | ასისტენტ-პროფესორი | აფილირებული | ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, მმართველობითი აღრიცხვა. |
| გიორგი კალანდია | პროფესორი | აფილირებული | საქართველოს ისტორია;<br>სამუზეუმო საქმე. |
| ირინე კაპანაძე | პროფესორი | აფილირებული | რუსული ენა 1;<br>რუსული ენა 2;<br>რუსული ენა 3;<br>რუსული ენა 4;<br>დარგობრივი რუსული ენა . |
| დავით კბილაძე | პროფესორი | აფილირებული | სტატისტიკა ტურიზმისთვის. |
| გიორგი სუბელიანი | ასოცირებული პროფესორი | აფილირებული | ბიზნესის საფუძვლები;<br>პერსონალის მართვა ტურიზმში;<br>პროექტების მართვის საფუძვლები;<br>ანტიკრიზისული მენეჯმენტი;<br>სტრატეგიული მენეჯმენტი |
| თამარ ჩაჩანიძე | ასოცირებული პროფესორი | აფილირებული | ეკონომიკის საფუძვლები; |
| ლელა ნატროშვილი | ასოცირებული პროფესორი | | ICT წიგნიერება;<br>ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები |
| გიორგი ლილუაშვილი | მოწვეული პერსონალი | | ICT წიგნიერება;<br>ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები |
| თამარ ქობლიანიძე | პროფესორი | | ტურიზმის ეკონომიკა;<br>ტურიზმის მარკეტინგი;<br>ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;<br>აგრო და ღვინის ტურიზმი;<br>სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი. |
| ელისაბედ ბალიაშვილი | პროფესორი | აფილირებული | მენეჯმენტის საფუძვლები.<br>სტრატეგიული მენეჯმენტი |
| მანანა ალადაშვილი | ასოცირებული პროფესორი | | ექსკურსიათმცოდნეობა - გიდის ხელოვნება;<br>ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში;<br>ტურიზმის უსაფრთხოება;<br>რელიგიური ტურიზმი.<br>დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| დოდო თხელიძე | ასოცირებული პროფესორი | აფილირებული | კალკულუსი. |
| ზურაბ ლაოშვილი | მოწვეული პერსონალი | | გეოინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში; |
| პაატა კუნჭულია | ასოცირებული პროფესორი | | ფინანსების საფუძვლები; |
| ნიკოლოზ ნაცვლიშვილი | ასოცირებული პროფესორი | | ინვესტიციები ტურიზმში. |
| მაია მელაძე | ასოცირებული პროფესორი | | თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში (ინგ);<br>რეკლამა და სტიმულირება ტურიზმში(ინგ);<br>MICE - ტურიზმი;<br>სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი. |
| მანანა ნანიტაშვილი | ასოცირებული პროფესორი | | მარკეტინგის საფუძვლები;<br>PR მენეჯმენტი;<br>ბრენდინგი. |
| ხატია შევარდნაძე | ასოცირებული პროფესორი | | აკადემიური წერა. |
| ირინე მანიჟაშვილი შავლაშვილი | ასოცირებული პროფესორი | აფილირებული | აკადემიური წერა. |
| ია ხარაზი | ასოცირებული პროფესორი | | სამეწარმეო სამართალი. |
| კონსტანტინე აბულაძე | მოწვეული პერსონალი | | სასტუმრო მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები |
| კობა არაბული | მოწვეული პერსონალი | | ტურიზმის საფუძვლები;<br>ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები;<br>ტუროპერეიტინგი;<br>ტურიზმის დაგეგმვა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. |
| ლია ბერიკაშვილი | მოწვეული პერსონალი | | კვებისადა სასმელების მენეჯმენტი ტურიზმში. |
| ინეზა ვაწაძე | მოწვეული პერსონალი | | სათავგადასავლო ტურიზმი. |
| ელისაბედ მალანია | მოწვეული პერსონალი | | კულტურული ტურიზმი.<br>ტურიზმის ეკონომიკა. |
| ალექსანდრე მარუაშვილი | მოწვეული პერსონალი | | საქართველოს კულტურის ისტორია;<br>საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. |
| ნესტან აკობია | მოწვეული პერსონალი | | ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2;<br>ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4. |
| სოფიო მორალიშვილი | მოწვეული პერსონალი | | ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2;<br>ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4;<br>დარგობრივი ინგლისური ენა 1; |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | დარგობრივი ინგლისური ენა 2;<br>ლიდერობა - მართვის ხელოვნება (ინგლისურ ენაზე). |
| ირინე  საგანელიძე | მოწვეული პერსონალი | | მსოფლიო ხელოვნების ისტორია. |
| ნინო საჩალელი | მოწვეული პერსონალი | | ტურიზმის მარკეტინგი. |
| მაია ბლიაძე | მოწვეული პერსონალი | | საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია;<br>ეკოტურიზმი; |
| ნინო ცერცვაძე | მოწვეული პერსონალი | | ფსიქოლოგიის საფუძვლები;<br>ლიდერობა - მართვის ხელოვნება. |
| თამარ ხეცურიანი | მოწვეული პერსონალი | | ინგლისური ენა 1; ინგლისური ენა 2; ინგლისური ენა 3; ინგლისური ენა 4; საქმიანი ურთიერთობების ეთიკა (ინგლისურ ენაზე). |
| მანანა გაგოშიძე | ასოცირებული პროფესორი | | ფილოსოფიის საფუძვლები |

*დანართი N 3*

**კურიკულუმის რუქა**

| N | სასწავლო კურსები | სწავლის შედეგები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შედეგი 1 | შედეგი 2 | შედეგი 3 | შედეგი 4 | შედეგი 5 | შედეგი 6 | შედეგი 7 | შედეგი 8 | შედეგი 9 |
| 1 | აკადემიური წერა | | | | | | | 1 | 1 | |
| 2 | ICT წიგნიერება | | | | 1 | | | 2,3 | 1 | |
| 3 | ინგლისური ენა 1 | 1 | | | | | | 1 | 1 | |
| 4 | ინგლისური ენა 2 | 1 | | | | | | 2 | 1 | |
| 5 | ინგლისური ენა 3 | 1 | | | | | | 2 | 1 | |
| 6 | ინგლისური ენა 4 | 1 | | | | | | 2 | 1 | |
| 7 | რუსული ენა 1 | 1 | | | | | | 1 | 1 | |
| 8 | რუსული ენა 2 | 1 | | | | | | 2 | 1 | |
| 9 | რუსული ენა 3 | 1 | | | | | | 2 | 1 | |
| 10 | რუსული ენა 4 | 1 | | | | | | 2 | 1 | |
| 11 | დარგობრივი ინგლისური ენა 1 | 2,3 | | | | | | 3 | 2 | |
| 12 | დარგობრივი რუსული ენა | 2,3 | | | | | | 3 | 2 | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | დარგობრივი ინგლისური ენა 2 | 3 | | | | | | 3 | 2 | |
| 14 | ბიზნესის საფუძვლები | 1 | | | 1 | | 1 | 1 | 1 | 1 |
| 15 | ეკონომიკის საფუძვლები | 1 | 1 | | | | | | 1 | |
| 16 | კალკულუსი | | | | | | 1 | | | |
| 17 | სტატისტიკა ტურიზმისათვის | 1 | 2 | | | | 2,3 | | 1 | |
| 18 | მენეჯმენტის საფუძვლები | 1 | | 1 | 2 | | | | 1 | 1 |
| 19 | ტურიზმის საფუძვლები | 1 | 1 | 1 | | | 1 | 1 | 1 | |
| 20 | საქართველოს ტურისტულ - რეკრეაციული რესურსები | 2 | 3 | | | | 2 | 1 | 1 | |
| 21 | ფინანსების საფუძვლები | 1 | 1,2 | | | | | 1 | 1 | |
| 22 | ეკოტურიზმი | 2 | 3 | | | | 1 | 1 | 2 | 2 |
| 23 | ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი | 2,3 | 3 | 2,3 | 3 | | 3 | 2 | 2 | |
| 24 | ტურიზმის ეკონომიკა | 2 | 3 | | | | 2 | 1 | 2 | |
| 25 | მარკეტინგის საფუძვლები | 1 | | | | 1,2 | 1 | 2 | 2 | |
| 26 | კულტურული ტურიზმი | 2 | 3 | | | | 2 | 2 | 2 | 3 |
| 27 | აგრო და ღვინის ტურიზმი | 2 | 3 | | | | 2 | 2 | 2 | |
| 28 | პროექტების მართვის საფუძვლები | 1 | | | | | 2 | 2 | 1 | |
| 29 | კვებისა და სასმელების მენეჯმენტი ტურიზმში | 2 | 2 | 3 | | | 2 | 2 | 2 | |
| 30 | ტურიზმის მარკეტინგი | 2 | | | | 3 | 3 | 3 | 3 | |
| 31 | საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფია | 2,3 | 3 | | | | 2 | 2 | | 3 |
| 32 | სასტუმრო მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები | 2 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | 2 | |
| 33 | ექსკურსიათმცოდნეობა - გიდის ხელოვნება | 3 | 2 | | | | 2 | 3 | 3 | |
| 34 | ბუღალტრული აღრიცხვის | 1 | 2 | | | | | | 2 | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საფუძვლები | | | | | | | | | |
| 35 | თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში (ინგ) | 2 | | | 2 | | | 3 | 3 | |
| 36 | ტუროპერეიტინგი | 2 | 2 | | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 |
| 37 | სასტუმროს ფრონტ-ოფისის მენეჯმენტი | | | 3 | 3 | | | 3 | | |
| 38 | პერსონალის მართვა ტურიზმში | 2 | 2 | | 2 | | | 3 | 2 | 2 |
| 39 | რეკლამა და სტიმულირება ტურიზმში (ინგ) | 2 | | | 3 | 3 | 1 | 3 | 2 | |
| 40 | პრაქტიკა | 3 | | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 |
| 41 | საბაკალავრო ნაშრომი | 3 | 3 | | | | 3 | 3 | 3 | 3 |

| |
|---|
| 1. **განიხილავს** ტურიზმის მოტივაციურ საფუძვლებსა და მის სოციალ-ეკონომიკურ, სოციო-ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს;<br>2. **აღწერს** და **ხსნის** ტურიზმისა და მასპინძლობის მახასიათებლებს, ტურისტთა განთავსების, კვებისა და მომსახურების სხვა სახეების მართვის თავისებურებებს; ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებას ტურიზმში; კულტურული, ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმის კომპლექსურ საკითხებს, ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს ეროვნული და მსოფლიო/საერთაშორისო მასშტაბით, საქმიანობის ფინანსურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს; |
| 3. ტურისტული პროფილის საწარმოს ეფექტიანი მუშაობისთვის **არჩევს** და **იყენებს** მენეჯმენტის ფუნქციებს, საინფორმაციო თუ მართვის სისტემებს (მათ შორის დაჯავშნის სისტემებს), ბეჭდვით და ელექტრონულ წყაროებს;<br>4. სეგმენტაციისა და მიზნობრივი ბაზრების შერჩევის საფუძველზე **ადგენს** ტურისტულ პროდუქტს და **შეიმუშავებს** ტურისტული საწარმოს მარკეტინგულ კომპლექსს;<br>5. ერთმანეთს **ადარებს** და **უპირისპირებს** ტურიზმის ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), მსოფლიოს მაკრორეგიონებისა და სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ პოტენციალს;<br>6. **აყალიბებს** რეკომენდაციებს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს პროექტების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისთვის<br>7. **აანალიზებს** განყენებულ სიტუაციებს, ინფორმაციას ტურიზმის უცხოური გამოცდილების შესახებ, დარგში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოში ტურიზმის შესაძლებლობებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს.<br>8. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით **ამზადებს** სემინარს /დამოუკიდებელ სამუშაოს /პროექტს და **ახდენს** მის პრეზენტირებას; **ამყარებს** კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; |
| 9. **ზრუნავს** საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, მიღებული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე/ცოდნის მუდმივ განახლებაზე ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვითა და მდგრადი განვითარების ძირითადი მიდგომების შესაბამისად. |

**შედეგი 1. განიხილავს** ტურიზმის მოტივაციურ საფუძვლებსა და მის სოციალ-ეკონომიკურ, სოციო-ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს;
**შედეგი 2. აღწერს** და **ხსნის** ტურიზმისა და მასპინძლობის მახასიათებლებს, ტურისტთა განთავსების, კვებისა და მომსახურების სხვა სახეების მართვის თავისებურებებს; ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებას ტურიზმში; კულტურული, ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმის კომპლექსურ საკითხებს, ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს ეროვნული და მსოფლიო/საერთაშორისო მასშტაბით, საქმიანობის ფინანსურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს;
**შედეგი 3.** ტურისტული პროფილის საწარმოს ეფექტიანი მუშაობისთვის **არჩევს** და **იყენებს** მენეჯმენტის ფუნქციებს, საინფორმაციო თუ მართვის სისტემებს (მათ შორის დაჯავშნის სისტემებს), ბეჭდვით და ელექტრონულ წყაროებს;
**შედეგი 4.** სეგმენტაციისა და მიზნობრივი ბაზრების შერჩევის საფუძველზე **ადგენს** ტურისტულ პროდუქტს და **შეიმუშავებს** ტურისტული საწარმოს მარკეტინგულ კომპლექსს;
**შედეგი 5.** ერთმანეთს **ადარებს** და **უპირისპირებს** ტურიზმის ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), მსოფლიოს მაკრორეგიონებისა და სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ პოტენციალს;
**შედეგი 6**. **აყალიბებს** რეკომენდაციებს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს პროექტების კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისთვის

**შედეგი 7**. **აანალიზებს** განყენებულ სიტუაციებს, ინფორმაციას ტურიზმის უცხოური გამოცდილების შესახებ, დარგში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოში ტურიზმის შესაძლებლობებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს.
**შედეგი 8.** თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით **ამზადებს** სემინარს /დამოუკიდებელ სამუშაოს /პროექტს და **ახდენს** მის პრეზენტირებას; **ამყარებს** კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან;
**შედეგი 9**. **ზრუნავს** საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებაზე, მიღებული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე/ცოდნის მუდმივ განახლებაზე ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებით, კორპორაციული ეთიკური ნორმებისა და პასუხისმგებლობის დაცვითა და მდგრადი განვითარების ძირითადი მიდგომების შესაბამისად.და კულტურული პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

**შენიშვნა:** დანართ 3-ში შედეგისა და სასწავლო კურსების სვეტის გადაკვეთაში ჩაწერილი რიცხვები ნიშნავს თუ როგორ ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი შესაბამის სწავლის შედეგს. კერძოდ: 1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება და 3 - განმტკიცება.

*დანართი 4*

**სამიზნე ნიშნულები**

| N | სწავლის შედეგი | სამიზნე ნიშნული |
|---|---|---|
| 1. | ჩამოთვლის და აყალიბებს სფეროს ძირითად ტერმინოლოგიას და ცნებით აპარატს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. | შეფასების კომპონენტში სტუდენტების 40% მაქსიმალური შეფასების 71- 80% |
| 2. | განსაზღვრავს ტურიზმის მოტივაციურ საფუძვლებსა და მის სოციალ-ეკონომიკურ, სოციო-ფსიქოლოგიურ და კულტურულ ასპექტებს, ტურისტული ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებს. | სტუდენტთა 30% მაქსიმალური შეფასების 71- 80% |
| 3. | აღწერს და ხსნის ტურიზმისა და მასპინძლობის მახასიათებლებს, ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებას ტურიზმში, კულტურული, ეკო, აგრო და ღვინის ტურიზმის კომპლექსურ საკითხებს, ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს ეროვნული და მსოფლიო/საერთაშორისო მასშტაბით, საქმიანობის ფინანსურ ეკონომიკურ მაჩვენებლებს. | სტუდენტთა 40% მაქსიმალური შეფასების 71- 80% |
| 4. | ხსნის ტურისტთა განთავსების, კვებისა და მომსახურების სხვა სახეების მართვის თავისებურებებს. | სტუდენტთა 50% მაქსიმალური შეფასების 61- 70% |
| 5. | ტურისტული პროფილის საწარმოს ეფექტიანი მუშაობისთვის არჩევს და იყენებს მენეჯმენტის ფუნქციებს, საინფორმაციო თუ მართვის სისტემებს (მათ შორის დაჯავშნის სისტემებს), ბეჭდვით და ელექტრონულ წყაროებს. | სტუდენტთა 30% მაქსიმალური შეფასების 61- 70% |
| 6. | სეგმენტაციისა და მიზნობრივი ბაზრების შერჩევის საფუძველზე ადგენს ტურისტულ პროდუქტს და შეიმუშავებს ტურისტული საწარმოს მარკეტინგულ კომპლექსს. | სტუდენტთა 30% მაქსიმალური შეფასების 71- 80% |
| 7. | ერთმანეთს ადარებს და უპირისპირებს ტურიზმის ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს (ინდიკატორებს), მსოფლიოს მაკრორეგიონებისა და სხვადასხვა ქვეყნების ტურისტულ პოტენციალს. | სტუდენტთა 30 % მაქსიმალური შეფასების 61- 70% |
| 8. | ამუშავებს ექსკურსიების და ტურისტულ მარშრუტების პროექტებს, ასევე, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს-პროექტების კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზებს. | სტუდენტთა 30% მაქსიმალური შეფასების 61- 70% |
| 9. | აანალიზებს განყენებულ სიტუაციებს, ინფორმაციას ტურიზმის უცხოური გამოცდილების შესახებ, დარგში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოში ტურიზმის შესაძლებლობებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს. | სტუდენტთა 50% მაქსიმალური შეფასების 71- 80% |
| 10 | თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიით ამზადებს სემინარს/დამოუკიდებელ სამუშაოს/პროექტს და ახდენს მის პრეზენტირებას; ამყარებს კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან. | სტუდენტთა 60% მაქსიმალური შეფასების 81- 90% |
| 11 | დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის პროცესს და ზრუნავს მიღებული სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, ცოდნის მუდმივ განახლებაზე. აფასებს სწავლის პროცესს და მიღებული ცოდნის საფუძველზე შემდგომი სწავლის საჭიროებას. | სტუდენტთა 60% მაქსიმალური შეფასების 91- 100% |
| 12 | მოქმედებს ტურისტულ პროფილის საწარმოსა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური, პროფესიული და კულტურული პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპების შესაბამისად. | სტუდენტთა 60% მაქსიმალური შეფასების 71- 80% |